

უმრეშა

სურათებიანი დამატება

დამატების № 4.

კვირა, 16 აპრილი, 1906 წ.

გაზეთის № 16.

ქმრის პაჭარი ქალი

ზოდ კისისა.

(თარგმანი*)



ვ. ჯალდუმბაძე,
წოდებულ პალუაში მოკლული
სტუდენტი.



ექვთიმე (ხარიტონ) მუჯირი,
ადესის უნივერსიტეტის სტუდენტი-
იურისტი, რომელიც ხულიგანების
მსხვერპლი შეიქნა 1905 წ. 6 დეკემბ.

სიმღერა

(პოლონურიდან)

ჩვენი სიცოცხლე მხოლოდ ტანჯვაა.
შავნელ ციხეზე უარესია,
მაგრამ ახლოა დღე განჩინების,
მოვსთხოვთ ვისაც რა დაუთესია.

დაიგუგუნე ჩვენი სიმღერავ,
მალა ფრიალებს ჩვენი ალაში,
აღიგზენ ცეცხლები შურისძიებაჲ,
მტარვლებს მივცეთ ღირსი სალამი!

დღე, სიბნელის ურცხვი მონები
წინ გადაგიდგნენ და გაგვიკლავდნენ,
დღე, სიმაღლის ჯალათი მტრები
საუკეთესო მებრძოლთ გვიკლავდნენ!

მაინც სიმაღლე გამ რჯვებულნი
ასწევს თამამად მალა დროშასა,
წავა, გაჰქრება, მოკვდება ბნელი,
და მოვესწრებით ახალ დრო ეამსა.

მაშ, მეგობრებო, ხელი ხელს მივცეთ,
მივაწვეთ მკერდით საერთო საქმეს,
წინ წავიდეთ წინ მდგომარ და მტკიცედ
არ შეუშინდეთ სიკდილის და საფრთხეს!

ძირს მტარვლები, ძირს ბორკილები,
დღე, დანგრეხს ძველი წეს-რიგი!
ჩუ, განთავადის მოღის სხივები,
ახლა მისია ლელა და რიგი!

მაშ, იგუგუნე, ჩვენი სიმღერავ,
მალა ფრიალებს ჩვენი ალაში,
ცეცხლები აღიგზენ შურისძიებაჲ,
რომ მტარვლებსა მივცეთ სალამი!

ი. კვდოშვილი

სალამოზედ ქ-ნი ვირმონი შეჰხვდა
თავის კარგ ნაცნობ ბუაფოს, რომელსაც
დაწერილებით უამბო მოხუცის მდგო-
მარეობა და სთხოვა გაეგო სადმე მისი
ვინაობა და, თუ შესაძლებელი იქნებო-
და, დახმარება აღმოეჩინა. ბუაფომ ზრდი-
ლობიანად შეაქო ქ-ნი ვირმონის გულკე-
თილობა და დაჰპირდა ყოველის ზომის
მიღებას. ამ სასიამოვნო პასუხის შემდეგ
ქ-ნმა ვერმონიმ მხიარულად, დამშვიდე-
ბულის სეინდისით დაუწყო მუსაიფი ორ
ახალ გაზრდა კავალერს. საუბრის საგა-
ნი ავსტრიის კონსულის მომავალი მეჯ-
ლისი იყო.

ბუაფო სამოცი წლის კაცი იყო.
იმის ჯალარა თმა, მოხდენილი ბაქნბარდე-
ბი, ძვირფასი, მშვენიერი ტანთსაცმელი,
ამისთანავე ფეხ-საცმელები, ზრდილობიანი და მედიდური
მიხვრა-მოხვრა პირველ დანახვაზედვე სრულ ნებას გთხოვდა
მიგეწერა იმ ჯურის ხალხისათვის, რომელსაც არისტოკრატია
„პატიოსანს“ უწოდებს. რაღაცა უცნაური, არაბუნებრივი,
პლუტური გაღიმება, თვალების მრავალ-მნიშვნელოვანი ლულ-
ვა აშკარად გიჩვენებდა იმის ზნეობრივ ფუქსავატობას. არის-
ტოკრატულ საზოგადოებაში ძლიერ მოხდენილად იქცეოდა.
იმისი ნაზი ხმა ჰხიზლავდა ქვეყანას, არასოდეს ხმას არ აიმა-



ქართველი მოხუცებულნი.

მარჯვნივ — სოფ. დიდბას მცხოვრები გლეხი ტეტია გატენაშვილი,
90 წლისა, ბატონის მიერ გაცემული ცენზა და უნაგირი.
მარცხნივ — იმავ სოფლის გლეხი ივ. კიკლაშვილი, 120 წლის მოხუ-
ცი. ორივენი დღესაც ჯანმრთელად არიან და კიდევაც მუშაობენ.

ღლებდა და სიტყვას უცნაურად ჩააკრიმანქულებდა ხოლმე.
როცა კი ჩამოვარდებოდა ლაპარაკი სეინდისა და პატიოს-

*) იხ. „დამატება“ № 3.

ს უ რ ა თ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ე ლ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ



ნებაზედ, იმის სიტყვაწყლიან ენას ქავლი არ ედებოდა და ანკარა ნაკადულივით სჩქევდა. ამასთან მუსაივის დროს თვალებს მალღა აპყრობდა და ქება-დიდებათ იხსენიებდა მოწყალების დებს, ბერებს და ბერმონხნებს. მისი სიტყვა ჭკუხდა, მოუთმენლობა, თავ-შეუკაცლობა, იმის აზრით, მო-მაკედანებელი ცოდო იყო. მუდამ სათნოებასა და გულკეთი-ლობაზედ ლაპარაკობდა, თუმცა მაზედ ხალხში ცუდი ხმა დადიოდა. მის ოჯახს ხშირად განაგებდნენ სხვა და სხვა ახალგაზდა, ლაშაზი, გულკეთილი დიასახლისები. ბანი ბუჯო მონაწილეობას იღებდა სამღვდლოების სხდომაში, სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებაში და ხშირად მდივნობდა კადეტს.

ყველა მოვალეობას გულმოდგინეთ ასრულებდა, რითაც განცვიფრებაში მოჰყავდა თავისი ნაწილობი. ხშირად ინახუ-ლებდა ხოლმე მეექვსე სართულში ღარიბ-ღატაკ მცხოვრებთ დიდის გულმოდგინებით გამოიკითხავდა ყოველ ღარიბის ამ-ბავს. სწამდა ღარიბ ხალხის კეთილმორწმუნება. მოწყალე-ბის დარიგების დროს ღარიბებს ვრცელ დარაგებას აძლევდა, თითქო უნდოდა ჯერ განეკურნა ყოველივე ბიწიერებისაგან და მერე მირონი ეცხო.

მეორე დღეს, ქ-ნ ვერძონთან ლაპარაკის შემდეგ, შეუ-დგა მოხუცის სახლის ძებნას. როცა ადრესი იშოვნა, გაემუ-რა სანახაყად. მეცხრე ქ-ნ სამსონას სახელის გაგონებასთან-ნავე დაიძახა:

— მეექვსე სართული, კარი მარჯვნივ!

ასეთ მოგზაურობას ბანი ბუჯო დაჰყვებოდა იყო. მარ-დ-დ გაემგზავრა იქით, საიდან უჩვენა მეცხრე, მაგრამ მი-ხვეულ-მოხვეულ კიბეზედ ასვლის დროს, რამდენჯერმე მოუნ-და შეჩერება, რომ ცოტა დაესვენა, სული მოებრუნებინა და გზის განსაგრძობად ჯან-ღონე მოეკრიფა.

ოთახი, რომელშიცა ქ-ნი სამსონი სცხოვრობდა, ძლი-ერ ვიწრო და უსუფთაო იყო. სინათლე ჩამოდიოდა სახურავ-ში გაქვთვებულ სარკველიდან. ეს სარკველი ძლიერ პატარა იყო და ამიტომ ოთახში ძლიერ ბნელოდა. სარკველიდან ხშირად ჩამოდიოდა წვიმა: კედლები გათხუნული იყო რა-

დაც ყვითელის სითხით, რომელიც ამტკიცებდა ქობის სინო-ტიეს.

ოთახის მორთულობას შეადგენდა ორი დამტკრეული ჩაღის სკამი, ტახტი, რომელზედაც გადაფენილი იყო შალის საბნის ნახევარი. ოთახის კუთქულში მოსწავდა კერა, სადაც ოდ-ნავ ბუჯო შეკეთებული წნელის კონა. კერას გვერდით მოსჯდომოდა ბებერი და ითხოვდა გათოშოვ ხელებს.

შესვლისთანავე ბუჯომ საშინელი სინოტივ იგრძნო და ფიქლავ დაიწყო გახსნილ პალატის ღილების კვრა.

ბუჯომ შემდეგის კითხვით მიმართა მოხუცს:

— თქვენა ბრძანდებით ქ-ნი სამსონი?

მოხუცებულმა ოდნავ წამოიწია სკამიდან და ყრუ ხმით უპასუხა:

— დიახ, მე გახლავარ! რა გნებავთ?

— ქ-ნა ვერმონი დაშავალა...

— ვინ არის ქ-ნი ვერმონი? — გააწყვეტინა სიტყვა მო-ხუცმა.

— ვერმონი ძლიერ მდიდარი ქალია; მანა გნახათ მონ-სონის ბაღში და თქვენთვის კეთილი უნდა.

— განა ცოტაა ისეთი, რომელსაც ჩემთვის კეთილი სურს? — შენიშნა მოხუცმა ნელის ხმით.

ბუჯომ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია მოხუცის სი-ტყუას და განაგრძო:

— ქ-ნ ვერმონის თქვენთვის სიკეთე უნდა: დარწმუნებუ-ლია, რომ თქვენ ღარიბი ხართ...

— მართალია, მე ძალიან უბედური ვარ!

— მასა სურს თქვენი დახმარება.

— კარგი, მაგრამ მოწყალება მე არავეისთვის არ მიიხო-ვნი!

ბუჯომ ენაზედ იკბინა.

— სრულიადაც არ მიფიქრია თქვენი შეურაცხყოფა. — ტუბილის ხმით უთხრა ბუჯომ. — იქნება მიიღოთ ცოტაოდენი შეშა და თბილი ტანისამოსი?

— ჩემ შვილს არა აქვს არც ერთი და არც მეორე.

— განა თქვენ შვილი გყავთ?



— მყავდა შვილიც და შვილის-შვილიც. შვილის-შვილი, ოთხი წლის ანგელოზი, ალუის შემორტყმის დროს მომიკვდა, ავად მყოფს ექიმმა რძე დაუნიშნა, მაგრამ ჩვენისთანა ლატაკებისთვის მაშინ სად იყო რძე?

— თქვენი შვილი სადღაა?

— ჩემი შვილი ძალიან შორს არის, სადღაც ზღვის იქით, ჯოჯოხეთის მხარეს, რომელსაც თქვენ „ახალ კოლედონიას“ ეძახით.

ამ სიტყვების წამოთქმის დროს მოხუცის ხმას სევდა დაეტყო.

— დიდი ხანია, რაც იქ არის?

— ვერსალონებმა შეიპყრეს 3 ივნისს 1871 წელს. მას შემდეგ ერთხელ კიდეც ვნახე. ოჰ! რა ბედნიერი ვიქნები, რომ სიკვდილამდის ერთი კიდეც ვნახო!..

მეტი ველარა სთქვა რა, ბოლშე მოაწვა. თვალებიდან ტრემლები გადმოჰქდა, ხმა ჩაუწყდა ისე, რომ ბუფამ უკანასკნელი სიტყვები ძლივს გააჩნია.

— სარწმუნოება და საფნოება! სარწმუნოება და საფნოება მოწყალეო ხელმწიფე! — უთხრა ვითომდა ნუგეშად წმინდანმა ბუფამ.

თავდახრილმა მოხუცმა ღირსებით აწია თავი მაღლა, გასწორდა წელში და მრისხანებით შესძახა:

— სარწმუნოება, საფნოება! გაგონებაც არ მინდა თქვენის სარწმუნოებისა! მღვდელმა არ დაბეზლა ჩემი შვილი? სამღვდლოება ხალხის დამღუბავი. ისინი არ ამხედრებდნენ შეგნებულ მხედრობას უმანკო ხალხის წინააღმდეგ? ისინი არ არიან პირველი მტარვლები ხალხისა? იმათის შემწეობით არ შედგა სხვა და სხვა შავი ძალები და მით შეაჩერეს ხალხის წინსვლა?

— იმათ თავიანთი წმინდა მოვალეობა შეასრულეს. — უკანაურის კილოთი წარმოთქვა ბუფამ.

— ადამიანის ვალი ის არის, რომ დედისერთა შვილი წაართვან მშობელს? ხალხის კეთილდღეობას წინ გადაელობონ?..

— თქვენი შვილი დამნაშავე იყო. რადამხედრდა ვერსალონის კრების წინააღმდეგ?

მოხუცს გამჭრალი თვალები ცეცხლივითაუნთო და ნაპერწკლების ფრქვევა დაიწყო, ზაგებები ჩაუღურჯდა, გამხდარ ყვითელ ლოყებზედ წითელმა ფერმა გადაჰკრა, ხმამ მიიღო მკაფიო გამომეტყველება და მრისხანედ წაშლიდა:

— მოწყალეო ხელმწიფე! მე თქვენ არ გიწოხთ და არც თქვენი აზრი და შეხედულება ვიცი, მაგრამ მაინც ვიტყვი, რაც სათქმელია. მე გაუნათლებელი ქალი ვარ. მამა ჩემი ქმარი და შვილი მუშები იყვნენ. ბევრი ვაი ვავლახი და ტანჯვა გამოვიარე ჩემ უბედურ ცხოვრებაში. მას შემდეგ რაც ჩემი მიშელი მომტაცეს, იმას ვაკეთებ, რასაც ვფიქრობ. მე მოხუცს, დიდის ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია, ყური დამიგდეს: თქვენის წრის ხალხს ბევრი სწავლა შეუძლიან ჩვენისთანა საწყალის მუშებისაგან.

წმინდანი სახტად დარჩა, როცა მოხუცისაგან შემდეგი მოთხრობა გაიგონა.

— მამა ჩემი საფრანგეთის დიდ რევოლუციაში იღებდა მონაწილეობას. ეს რევოლუცია იმისთვის წმიდათა-წმიდა იყო, როცა იმაზედ დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს, სახე მთლად ეცვლებოდა. მე ეხლაც აშკარადა ვხედავ იმის თვლებს, რომელნიც ლაპარაკის დროს უფლავრებდა გაღვიებული ნავეერჩხალივით. ეხლა დაწვრილებით არ შემოიძლიან მოვიგონო ყველა ის, რაზედაც მამა ჩემი ლაპარაკობდა, მაგრამ ძლიერ კარგად მახსოვს, როგორ სმენდა გადავიტყეოლი ხოლმე. მრწამსს, რომ იმის დროში საწყალი ხალხისათვის ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ხალხმა დაიმსახურა ღრმა პატივისცემა. ამის შემდეგ ხალხს ისე აღარ უყურებდნენ, როგორც წინააღმდეგობით ბრძამაც კი გაიგო, რა იყო ხალხი ან მისი მისწრაფება. მამაჩემი მეტად პატიოსანი კაცი იყო, ირჯებოდა როგორც ლომი, მაგრამ სამყოფი ლუკმა არა გვქონდა. არ იყო ლოთი, არც ტყუილი უყვარდა და ამიტომ ყველა მისი ნათქვამი ქეშმარიტება.

ბუფოს უნდოდა სიტყვა გაეწყვეტინებინა მოხუცისთვის, მაგრამ მოხუცმა ნება არ მისცა და მხნედ განაგრძო:

— თუმცა ბევრი გააკეთეს, მაგრამ მაინც კიდეც ბლომად დარჩა გასაკეთებელი. არ გაუვლია რევოლუციის შემდეგ ბევრ ხანს, რომ ხალხმა დაჰკარგა ის, რაც რევოლუციით შეიძინა, მუდმივმა შრომამ დაღალა, ძალა გამოაცალა ხალხს; ხშირად მამა-ჩემი და მისი ამხანაგები ინატრებდნენ ხოლმე: „აი, ნეტა ისევ დაგვიბრუნდეს რესპუბლიკაო“. ამ აზრის ხალხი ძლიერ ცოტა იყო. უმეტეს ნაწილის გონებაში ისევ ის კაცი იყო გაბატონებული, რომელსაც წილად ხვდებოდა წმ. ელენის კუნძულზედ სიკვდილი. „1830 წ., ორი წლის შემდეგ ჩემი ჯვრისწერისა, მიშელი ძუძუთა მყავდა. ნათლად მახსოვს, როგორ დავიწყე ცახცახი, როცა ჩვენს ახლ ქუჩებულ ქალებისაგან მომესმა პირველად სიტყვა

კადები“. ამ დროს ტაშის უბანში ეცხოვრობდით. მამაჩემი და ჩემი ქმარი ერთსა და იმავე ქარხანაში მუშაობდნენ. ერთ დღეს ორთავენი დანიშნულ დროზედ ადრე მოვიდნენ. მომთხოვეს სადილი. არასოდეს, სანამ პირში სული მიდგოა, არ დამავიწყდება ის საღამო... ვერქარებოდი სუფრის გასაშლელად. თან შეუმჩნეველად ხან ერთს და ხან მეორეს ვუცქეროდი. ქმარს არც ერთხელ არ მოუხედნია ჩემსკენ, მამამ შემჩერა და მითხრა: „იმამაცე, შეილო! ჩვენ მივდივართ რესპუბლიკისთვის საბრძოლველად“. პასუხის მიცემა ვერ მოვახერხე: თვალები ცრემლებით ამევსო, ბოლმა ყელში მომაწვა და მახრჩობდა. ქმარი გადამხვია და გულზე მიმეხუტა,

მიგრამ სიტყვის თქმა კი ვერ მოახერხა. ამ დროს ბავშვმა ლოგინში დაიყვია. მამაჩემი მივიდა გალაკოცნა, ხელში აიყვანა და მიაწოდა ჩემ ქმარს. მანაც გულმხურვალედ ჩაჰკოცნა და გადმომცა. „წავიდეთ“ — უთხრა მამაჩემმა. წავიდნენ... მთელი ღამე ვიდექ ფანჯარასთან და ვტიროდი, თუმცა ვგრძნობდი, რომ ისინი სვინილისიერად ასრულებდნენ თავიანთ წმინდა მოვალეობას. მეორე დღეს ჩემმა ქმარმა მოიტანა საკაციო მამაჩემი, რომელიც მოჰკლეს სენდონის ქუჩაზედ ბარეკადის შენების დროს.

მ. ქარციაშვილი.


(დასასრული იქნება)



მურ-მარდი.



დამსჯელ ექსპედიციის უფროსი.



სახელმწიფო სათათბიროში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. დიასამიძე.